



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 19 ოქტომბერი

**დისციპლინური საქმე №128/21  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ**

-- -- 2021 წლის 12 ოქტომბრის №128 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დაიწყო წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას საჩივრის ავტორის მიმართ იყენებდა ისეთ გამონათქვამებს, რაც ქმნიდა მიკერძოების საფუძველს.

ამასთან, მოსამართლე --- ცრუ მოწმეებზე დაყრდნობით მიიღო მიკერძოებული გადაწყვეტილება.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოება:**

-- სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის

გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა.

ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება მიიღო 2016 წლის 16 ნოემბერს, ხოლო საჩივარი წარმოდგენილია 2021 წლის 12 ოქტომბერს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დადასტურებულია, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე (საჩივრის წარმოდგენამდე) გასულია 3 წელი, რის გამოც, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ვ ვ ი ტ ა :**

-- -- უარი ეთქვას მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**